07.07.2025

სკოლის გაზეთი

ევროპული სკოლა

ყოველდღიურად უფრო ძლიერები ერთად ვქმნით უკეთეს სკოლას

„ყოველდღიურად უფრო ძლიერები ერთად ვქმნით უკეთეს სკოლას“ ცარიელი სიტყვები არ არის, იგი ასახავს ჩვენს სწრაფვას უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ, ჩვენ პასუხისმგებლიან და მომავლისკენ მიმართულ საგანმანათლებლო მიდგომას. „ევროპულ სკოლაში“ გაუმჯობესება არა თუ **ერთჯერადი** მიზანი, არამედ მუდმივად სავალი გზაა, რომლის მამოძრავებელი ძალა არის მასწავლებლების, მოსწავლეთა და მთლიანი სკოლის საზოგადოების თავდადება, მჭიდრო თანამშრომლობა და პროცესების მუდმივი ანალიზი.

ეს მიდგომა ნათლად აისახება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო აკრედიტაციების პროცესებში აქტიური ჩართულობით. საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB), Cognia-ს და საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტაციის განახლებადი ციკლი გვიბიძგებს, სასკოლო ცხოვრების ყველა მიმართულებით დავნერგოთ და განვავითაროთ განათლების უმაღლესი სტანდარტები. აკრედიტაცია მხოლოდ ფორმალური აღიარება არ არის, ეს არის შესაძლებლობა, რომელიც მოგვიწოდებს ღრმა ანალიზისკენ, მიზანმიმართული მოქმედებისკენ და მდგრადი განვითარებისკენ.

WE ARE AN ACCREDITED SCHOOL

ი. სხირტლაძის ქუჩა #2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 214 42 44; 239 59 64; 214 15 16

ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

„ევროპულ სკოლაში“ პრიორიტეტულია პროფესიული თანამშრომლობისა და გლობალური ჩართულობის ხელშეწყობა. სკოლა არის კავკასიისა და ცენტრალური აზიის IB სკოლების ასოციაციის (CCAAIBWS) ერთ-ერთი დამფუძნებელი, რაც ჩვენს პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, **საერთაშორისო** ასპარეზზე გაუზიარონ გამოცდილება კოლეგებს და წაახალსონ სწავლა-სწავლების ინოვაციური პრაქტიკა.

მსოფლიო კონფერენციებსა და ვორქშოფებში მონაწილეობა საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ საგანათლებლო ტექნოლოგიებისა და პედაგოგიკის განვითარების წინა ხაზზე, ციფრული ინსტრუმენტებით გარდავქმნათ სასწავლო პროცესი და უკეთ მოვამზადოთ მოსწავლეები **მუდმივად** ცვალებადი, გლობალური სამყაროს გამოწვევებისთვის.
არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ჩვენ, ყოველი ინიციატივითა და წინგადადგმული ნაბიჯით, მართლაც დღითიდღე ვძლიერდებით.

ნანა ფაცია – CIS აკრედიტაციის კოორდინატორი: „CIS-ის აკრედიტაციის გუნდის ვიზიტი იყო ფასდაუდებელი შესაძლებლობა, რომ სკოლის ცხოვრების დეტალური და ობიექტური სურათი დაგვენახა. აღნიშნულმა პროცესმა დაადასტურა არსებული ძლიერი მხარეები და ასევე გამოკვეთა გასაუმჯობესებელი მიმართულებები, იგი დაგვეხმარა სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაში და გეგმის შემუშავებაში, თუ როგორ მივაღწიოთ ახალ სიმაღლეებს განათლებისა და ლიდერობის სფეროებში. გამოცდილი განათლების ექსპერტებისგან მიღებული უკუკავშირი იქნება ჩვენი ერთგავარი სახელმძღვანელო განვითარებისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის გზაზე.“

ანი ბეჟუაშვილი – PYP პროგრამის ICT მასწავლებელი: „მადლობელი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა კოლეგებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან! ბაქოში გამართული კონფერენცია მართლაც საოცარი სივრცე იყო იდეების გაცვლისა და გლობალური კავშირების დამყარებისთვის. მსგავსი თანამშრომლობა კიდევ ერთხელ გვახსენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ერთობლივი მოქმედება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო კონფერენციებში **ჩართულობა**, განსხვავებული პერსპექტივებიდან სწავლება და ახალი კავშირების, ურთიერთობების ჩამოყალიბება უპირატესად ფასეულია. მოუთმენლად ველი ამ პროფესიული თავგადასავლის გაგრძელებას!“

ნინო ჭალისური – PYP პროგრამის მუსიკის მასწავლებელი: „ჩემთვის დიდი პატივი იყო თბილიდან ბაქოში გამგზავრება და ტრენინგის ჩატარება IB-ის პროფესიული განვითარების სემინარზე, რომელიც 2025 წლის 22 თებერვალს გაიმართა. სპიკერის სტატუსით მქონდა შესაძლებლობა, გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება მუსიკალური დიდაქტიკის, მუსიკის აქტიური სწავლებისა და რითმული განათლების კუთხით, რასაც ვიყენებ როგორც „ევროპულ სკოლაში“, ასევე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.
Orff-Schulwerk-ის მიდგომიდან გამომდინარე, ჩემი სემინარი დაფუძნებული იყო შემოქმედებით, პრაქტიკულ სტრატეგიებზე. ძალიან სასიამოვნო იყო მუშაობა IB-ის მასწავლებლებთან, რომლებიც დიდ ენთუზიაზმსა და ინტერესს იჩენდნენ. ეს იყო შთამაგონებელი დღე, რომელმაც პროფესიულად გამზარდა და IB საზოგადოების ფარგლებში განვითარების მოტივაცია შემმატა.“

გურანდა გოგალაძე – FABLAB-ის მენეჯერი: „რაც განსაკუთრებულად დამამახსოვრდა BETT 2025-ზე ლონდონში, იყო განათლებაში ინოვაციების ინტეგრირების წარმოუდგენელი ტემპი. ხელოვნური ინტელექტით გამდიდრებული სასწავლო პლატფორმებით დაწყებული და ვირტუალური რეალობით დამთავრებული, ღონისძიებაზე უამრავ შთამაგონებელ იდეასა და რესურსს გავეცანით. უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ დავფიქრდით, როგორ ვაქციოთ ეს ინოვაციები ჩვენი საგაკვეთილო სივრცის რეალობად. „ევროპულ სკოლაში“ დაბრუნებულებმა უკვე დავიწყეთ ახალი სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რაც ჩვენ სასწავლო გარემოს კიდევ უფრო ინტერაქციულსა და მოსწავლეზე, მომავალზე ორიენტირებულს ხდის.“

მარიამ ხაბეიშვილი – PYP პროგრამის ფსიქოლოგი: „საინტერესო გამოცდილება იყო ყაზახეთში გამართულ CCAAIBWS-ის კონფერენციაზე „ევროპული სკოლის“ წარმომადგენელთა პრეზენტაციების მოსმენა. მათი გამართული, გააზრებული გამოსვლები ნათლად წარმოაჩენდა ჩვენი საზოგადოების ღირებულებებსა და შრომას. ჩემმა კოლეგებმა ისაუბრეს ინოვაციურ პრაქტიკებზე, მოსწავლეთა შედეგებსა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლების მიდგომებზე. ამაყი ვარ, რომ ვეკუთვნი გუნდს, რომელიც მიისწრაფვის სრულყოფისკენ და მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო IB საზოგადოების განვითარებაში.“

განვითარებისა და ტრანსფორმაციის გზაზე, სტანდარტების ამაღლების, რესურსების გამდიდრებისა და კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა „ევროპული სკოლის“ პრიორიტეტულ მიზნებად რჩება. საერთაშორისო აკრედიტაციით, გლობალურ ასპარეზზე თანამშრომლობითა და მომავლის ხედვაზე დაფუძნებული ინიციატივებით, ჩვენ არა მხოლოდ ვაძლიერებთ ჩვენს სკოლას დღეს, არამედ ვაშენებთ ნათელი, ინოვაციური ხვალინდელი დღის მყარ საფუძველს. ჩვენ, „ევროპული სკოლის“ საზოგადოების წევრები, ერთიანი ძალისხმევით ნამდვილად ვხდებით ყოველდღიურად უფრო ძლიერები.

გლობალური მოქალაქეების აღზრდა მულტიკულტურალიზმის გზით

თანამედროვე გლობალურ სამყაროში განათლება მხოლოდ აკადემიურ ცოდნას კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ მოსწავლეებს ამზადებდეს პასუხისმგებლიანი, მზრუნველი და ინფორმირებული გლობალური მოქალაქეობისთვის. სწორედ ამიტომ „ევროპულ სკოლაში” მიგვაჩნია, რომ მულტიკულტურალიზმი მხოლოდ მრავალფეროვნების დღესასწაული კი არ არის, ის იმავდროულად საუკეთესო საშუალებაა იმ თვისებების, უნარებისა და ეთიკური ღირებულებების განსავითარებლად, რომლებიც გლობალურ მოქალაქეს ესაჭიროება. შთამბეჭდავი გამოცდილების, მოსწავლეთა მიერ წამოწყებული ინიციატივებისა და ინკლუზიური დიალოგის მეშვეობით ჩვენ ვზრდით ადამიანებს, რომლებიც აფასებენ განსხვავებულობას, აცნობიერებენ გლობალურ გამოწვევებს და მზად არიან, გააზრებული ქმედებით ხელი შეუწყონ უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროს შექმნას.

სკოლის მასშტაბით გამართული კულტურული ფესტივალი: ერთიანობა მრავალფეროვნებაში

სამი დაუვიწყარი დღის განმავლობაში ჩვენი სკოლა ნამდვილ გლობალურ ქალაქად იქცა! კულტურულმა ფესტივალმა გააერთიანა ყველა ასაკის მოსწავლე, ყველა კლასი და ყველა გული – იმ მრავალფეროვნების აღსანიშნავად, რომელიც გვაერთიანებს. შთამბეჭდავი გამოფენები, შთაგონებული საზეიმო შეკრებები, გლობალური მოქალაქეობის წარმოსაჩენი აქტივობები, ტრადიციული ცეკვები, სიმღერები, სამზარეულო და ქველმოქმედება – თითოეული წუთი ჩვენი სამყაროს განსხვავებულ კუთხეებში გვამოგზაურებდა.

ამ ზეიმს განსაკუთრებულ ხიბლს აძლევდა ერთობლივი წარმოდგენები – დედები და შვილები, მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად იდგნენ სცენაზე. ეს იყო შეხსენება იმისა, რომ კულტურა მხოლოდ ტრადიციებით კი არ ცოცხლობს, არამედ იმ კავშირებით, რომლებსაც ერთმანეთთან ვქმნით, ასევე იმ ამბებით, რომლებსაც ერთმანეთს ვუზიარებთ.

კულტურათაშორისი სწავლება საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებში

საერთაშორისო ბაკალავრიატის ყველა საფეხურზე – დაწყებითი (PYP), საბაზისო (MYP) და სადიპლომო/კარიერულ (DP/CP) პროგრამებში – მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ მულტიკულტურალიზმისა და გლობალური მოქალაქეობის წარმომჩენ მრავალფეროვან აქტივობებში. ეს ინიციატივები – დაფუძნებული კვლევასა და თანამშრომლობაზე – აცოცხლებს IB-ის მისიას და ამყარებს კულტურათაშორის კავშირებს ყველა ასაკისთვის.

ყაზახმა მოსწავლეებმა ნოვრუზის დღესასწაული მოაწყვეს და ყაზახეთის მდიდარი ტრადიციები გააცოცხლეს თანატოლებისთვის, პედაგოგებისა და მშობლებისთვის. სტუმრებმა ისიამოვნეს ტრადიციული კოსტიუმებით, ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით, ნაციონალური თამაშებითა და გემრიელი ყაზახური სამზარეულოთი – შთაბეჭდილებით, რომელიც კულუტურული მემკვიდრეობით, სიამაყითა და სიხარულით იყო გაჯერებული.

MYP პროგრამამ ორგანიზება გაუწია საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდნენ საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი მარია თეოდოროუ და საკონსულოს ხელმძღვანელი, ქალბატონი ელიზავეტ კარალი. მოსწავლეებმა ეფექტურად წარმოადგინეს ორ ქვეყანას შორის ისტორიული კავშირი და საღამო დახურეს ბერძნული და ქართული ტრადიციული ცეკვების შთამბეჭდავი შესრულებით.

აზერბაიჯანის ევროპულ სკოლასთან თანამშრომლობით მოსწავლეებმა აღნიშნეს „დედამიწის დღე 2025“ - ტრადიციული მუსიკით, ცეკვებითა და ეკოლოგიურ თემებზე ორიენტირებული პრეზენტაციებით. მათმა ერთგულებამ ჩვენი პლანეტისადმი და კულტურათაშორისი ურთიერთობისადმი დამოკიდებულებამ ნათლად წარმოაჩინა, თუ როგორ იკვეთება გარემოს დაცვა და გლობალური მოქალაქეობა.

PYP-ის მოსწავლეებმა „გაზაფხულის სიმღერის ფესტივალზე“ შეასრულეს სიმღერები ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან და ავსტრალიიდან. მუსიკის უნივერსალური ენით მოსწავლეებმა გამოხატეს ერთიანობა, შემოქმედებითი უნარი და სხვადასხვა კულტურის პატივისცემა.

„იმედის ფესტივალი“ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში განსაკუთრებული გამოცდილება იყო MYP და DP/CP-ის მოსწავლეებისთვის. CCAAIB-WS-ის მე-4 კონფერენციის ფარგლებში მათ წარადგინეს საზოგადოებრივი პროექტები, ჩაერთნენ დებატებსა და კულტურულ ექსკურსიებში. ტრადიციული სუფრიდან ისტორიულ ტურნეებამდე, პოსტერების პრეზენტაციებიდან ოპერის საღამომდე – ეს მოგზაურობა მონაწილეთათვის აღმოჩნდა საუკეთესო გამოცდილება რეგიონული და გლობალური მრავალფეროვნების სიღრმისეულად გააზრებისთვის.

თვითიდენტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება ქართული პროგრამის ფარგლებში

ქართული პროგრამა განაგრძობს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალურ კულტურებთან ურთიერთობის კვლევას.
მეორე სემესტრში ინტელექტუალურ თამაშებს „ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპისკენ“ ავსტრია და იტალიაც დაემატა. მოსწავლეები სკოლის სხვადასხვა საფეხურიდან ჩაერთნენ მეგობრულ შეჯიბრებაში, რათა გაეღრმავებინათ ცოდნა ევროპის ისტორიაზე, თანამშრომლობასა და კულტურულ მრავალფეროვნებაზე.

ქართული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულმა ვალენტინობის დღის ასამბლეამ სიყვარულის კულტურათაშორისი კვლევა წარმოადგინა. მოსწავლეებმა ლექსების, მულტიმედიისა და მუსიკის საშუალებით შეიმეცნეს ვალენტინობის დღე და განიხილეს მასთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტურის ტრადიციები, რამაც ხელი შეუწყო ემპათიის, ცნობისმოყვარეობისა და წიგნიერების გაღვივებას.

გლობალური დისკურსისა და კულტურათა გაზიარების შთაგონება ამერიკულ უმაღლეს სკოლაში

ამერიკული უმაღლესი სკოლა ASAS კვლავაც განაგრძობს ინოვაციური ინიციატივების წარმართვას, რომლებიც მულტიკულტურალიზმს, აკადემიურ წარმატებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას აერთიანებს.

27 მაისს ASAS-მა უმასპინძლა მეოთხე საერთაშორისო ინტერდისციპლინურ ჰიბრიდულ კონფერენციას, თემით „საქართველო და მსოფლიო“, Cognia-სა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. მოსწავლეთა პრეზენტაციებმა და ექსპერტთა დიალოგებმა მოიცვა სავაჭრო, ლინგვისტური, საგანმანათლებლო და გეოპოლიტიკური საკითხები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ გლობალურ საკითხთა შესახებ მოსაზრებების გაცვლაში.

IX-XII კლასების შერჩეულმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამაში, რომელიც ბრიტანულ სკოლა AKS Lytham-ში ჩატარდა. აკადემიურ და კულტურულ აქტივობებში ჩართულობის მიღმა, მათ ჩაატარეს სემინარები, საგანმანათლებლო პრეზენტაციები ქართული ენის, თქმულებებისა თუ ლეგენდებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ეს იყო კულტურათაშორისი ურთიერთობის საამაყო მაგალითი.

კლასიკურ კულტურას მიეძღვნა IX-X კლასების ერთობლივი კონკურსი „ყველაფერი ესქილეზე!“, რომელიც მოიცავდა პერფორმანსებს, კითხვებზე პასუხს და კოსტიუმების დიზაინს.

დინამიკურმა ღონისძიებამ ნათლად აჩვენა, თუ როგორ შეუძლია ანტიკურ ტექსტებს თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნებისა და კულტურული კვლევის გაღვივება.

მომავლის ერთიანი ხედვა, საერთო პასუხისმგებლობა

კვლევა-ძიება, გამოხატვა და საზოგადოებრივი საქმიანობა – “ევროპულ სკოლაში” მულტიკულტურალიზმი განა მხოლოდ ისწავლება, ის ჩვენი ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ნაწილია და მოსწავლეთა საქმიანობით ცოცხლდება. ჩვენ ვზრდით ყოველმხრივ ინფორმირებულ, თანაგრძნობით სავსე გლობალურ მოქალაქეებს, რომლებიც მზად არიან და ისწრაფვიან კიდეც ბევრად უფრო სამართლიანი და ინკლუზიური სამყაროს შესაქმნელად.

ახალგაზრდა ლიდერები მოქმედებაში

„ევროპულ სკოლაში“ ლიდერობა არ არის მხოლოდ ტიტული, ეს აზროვნების სტილია, რომელიც სასკოლო ცხოვრების ყველა მიმართულებაში ჰპოვებს გამოვლინებას. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში მოზარდთა ლიდერობის ნათელი მაგალითი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებულ მრავალი ინიციატივა, ინოვაციური იდეები, პროცესების მართვა და საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება.

გამორჩეული მომენტი გახლდათ ახალგაზრდა გლობალურ ლიდერთა პროგრამა, რომელსაც ჩვენმა სკოლამ უმასპინძლა. ორმოცი მოსწავლე სამი დღის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული პროგრამის მსვლელობაში ჰარვარდის უნივერსიტეტის ორ მენტორთან ერთად. მათ განივითარეს საჯარო გამოსვლების, მოლაპარაკებებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები. ტრენინგი დაეხმარა ჩვენს მოსწავლეებს, თეორიული ცოდნის ჩარჩოებს მიღმა შეეძინათ რეალური გამოწვევების დაძლევის გამოცდილება.

მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობას ემსახურებოდა კონკურსი “ანტერპრენერი 2025”, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების იდეის მქონე VI-XII კლასის ნებისმიერ მოსწავლეს. იდეები კი მრავლად იყო, საკმაოდ ამბიციურიც და პრაქტიკულიც, მაგალითად: მზის ბატარეებზე მომუშავე დასამუხტი მოწყობილობები, ჰიდროფონული სათბურები, ინკლუზიური ნახატები კედლებზე და სწავლების ციფრული პლატფორმები. პროექტები სკოლის ადმინისტრაციამ, გარე ექსპერტებმა და მოსწავლეთა პარლამენტის წარმომადგენლებმა შეაფასეს. ბევრი იდეის დანერგვა გადაწყდა, რაც მოწმობს იმას, რომ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს ენდობიან და მათგან რეალურ ცვლილებებს ელიან.

აღსანიშნავია მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის კატო მამუკაშვილის მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელზეც მოწვეულნი გახლდნენ გამოცდილი პროფესიონალები: TBC ბანკის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე და PR ექსპერტი თეონა ბაღდავაძე. ისინი მოსწავლეებს ეთიკურ მართვასა და ინოვაციაზე ესაუბრნენ. ღონისძიება ინტერაქციულს ფორმატში წარიმართა, სადაც მოსწავლეებმა შეკითხვებზე ღრმა და დეტალური პასუხები მიიღეს.

„ევროპულ სკოლას“ სამომავლოდაც მრავალი გეგმა აქვს დასახული მოსწავლეთა უნარების გასავითარებლად. ერთ-ერთია ლიდერობის აკადემია „საბადო“- გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც შაბათ-კვირას ჩატარებული ვორქშოფებით დაიწყო. სესიებზე ყურადღება ეთმობოდა გლობალურ საკითხებს, მედიაწიგნიერებასა და ნარატივებზე მუშაობას. სკოლა მსგავსი აქტივობებით აყალიბებს არა მხოლოდ მცოდნე, არამედ ინფორმირებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ გლობალური მოქალაქისთვის საჭირო უნარები.

ეს ყველაფერი წარმატების ფრაგმენტული სურათები არ არის, არამედ გახლავთ მტკიცებულება იმისა, რომ სასკოლო კულტურა მუდმივად ახალისებს მოსწავლეებს, გამოიჩინონ ინიციატივა, გადაჭრან პრობლემები და იმოქმედონ მიზანმიმართულად. „ევროპულ სკოლაში“ მოსწავლეები ლიდერობას მომავლის პერსპექტივად არ აღიქვამენ, ისინი ყოველდღიურად ყალიბდებიან ლიდერებად.

ანასტასია ვადაჭკორია და ცეკვის ხელოვნება

„ევროპული სკოლა“ ამაყობს საკუთარი მოსწავლეების წარმატებით და სიამოვნებით უზიარებს მათ ისტორიებს სკოლის გაზეთის მკითხველს. დღეს გაგაცნობთ ქართული პროგრამის მე-8გ კლასის მოსწავლეს, ანასტასია ვადაჭკორიას.

ანასტასია წარჩინებული მოსწავლეა და პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. იგი არის საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე. აღნიშნულ ინტერვიუში ანასტასიას სასკოლო ცხოვრებაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, არამედ გაგაცნობთ, როგორც სტუდია „თელას“ პროფესიონალ მოცეკვავეს, რომლის სახელსაც უკავშირდება სამეჯლისო და თანამედროვე („ქონთემფორარი“) ცეკვებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული მრავალი წარმატება.

მოგვიყევი შენ შესახებ. რამდენი წლის იყავი, როცა დაიწყე ცეკვა?

მე ვარ ანასტასია ვადაჭკორია, 14 წლის. 4 წლის ვიყავი მხატვრულ ტანვარჯიშზე რომ შემიყვანეს, ბოლო 4 წელია სტუდია „თელას” მოცეკვავე ვარ. ვცეკვავ სამეჯლისო და „ქონთემფორარი” (თანამედროვე ბალეტი) სტილის ცეკვებს.

რატომ აირჩიე სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების მიმართულება?

ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ცეკვა და ტანვარჯიშს თავი რომ დავანებე, გავაერთიანე სპორტი და ხელოვნება, გადავწყვიტე, სპორტულ-სამეჯლისო „ქონთემფორარის" მიმართულებით გამომეცადა ჩემი შესაძლებლობები.

როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე? როგორ ახერხებ სწავლისა და ცეკვის შეთავსებას?

ძალიან მარტივად ვათავსებ სკოლასა და ცეკვას. ვიღვიძებ, ვსაუზმობ, დღის პირველი ნახევარი სკოლას ეთმობა, მეორე კი - დარბაზს. ვვარჯიშობ 2-6 საათის განმავლობაში, მერე სახლი, ვმეცადინეობ და ვიძინებ... და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რეჟიმი სულაც არ არის მოსაწყენი.

2024-2025 სასწავლო წელი შენთვის განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა, მოგვიყევი, რომელ ტურნირებში მიიღე მონაწილეობა და რა შედეგებით დაასრულე ასპარეზობა?

ვიასპარეზე როგორც საქართვრლოში, ასევე - საქართველოს გარეთ. ამ სეზონზე ჩემი გამოსვლების უმეტესი ნაწილი კარგი შედეგებით დასრულდა, თუმცა კიდევ ბევრი შრომაა საჭირო!

რომელ ტურნირში მონაწილეობა იყო შენთვის ყველაზე ემოციური და რატომ?

გამოვარჩევდი TDF-ს (Thessaloniki dance festival), რომელიც ჩატარდა საბერძნეთში, ქალაქ ტესალონიკში, სადაც წარმატებით წარვადგინე საქართველო და შეჯიბრი მოვიგე. დიდი ძალის მომცემია ასეთ მაშტაბურ ტურნირზე, კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე საქართველოს დროშის აფრიალება.

შენ საცეკვაო კარიერაში რომელ გამარჯვებას მიიჩნევ პირად რეკორდად ან გადამწყვეტ მომენტად? და რატომ იყო ის შენთვის განსაკუთრებული?

აღსანიშნავია 2025 წლის „საქართველოს თასი", რადგან ეს კონკურსი 5 პირველი ადგილით დავასრულე. თავიდან მეც არ მჯეროდა, მაგრამ გააზრების შემდეგ გამიხარდა, რომ დასახულ მიზანს მივაღწიე და ჩემი შრომა დაფასდა.

რა გაძლევს მოტივაციას?

ალბათ, ყველაზე მეტად ოჯახის და ახლო ადამიანების გამამხნევებელი სიტყვები, თუმცა, მოტივაციას ასევე ვიღებ მიზნების დასახვით. როდესაც მიზანს დაისახავ და მას მიაღწევ, ძალიან კარგი გრძნობაა. ხვდები, რომ ამდენი შრომა, ნერვიულობა და სტრესი უაზრო არ იყო.

როგორ ახერხებ ცეკვის პარალელურად მაღალ ნიშნებზე სწავლას?

თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ისიც ვიცი, რომ სწავლისა და განათლების გარეშე მომავალში ბევრი რამ არ გამომივა. აქედან გამომდინარე, თავისუფალი დრო რომ არ მაქვს, საერთოდ არ მაწუხებს.

შენი აზრით, რა არის ადამიანის წარმატების საიდუმლო?

ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების დაჯერება. ყველა ადამიანს ვუსურვებ, რომ იპოვოს ისეთი საქმე, რომელიც ნამდვილად უყვარს და სიამოვნებს მისი კეთება.

რას ურჩევდი შენს თანატოლებს?

ყველა ჩემს თანატოლს ვურჩევ, რომ ერთმანეთს ვცეთ პატივი, ავარიდოთ თავი ჩხუბსა და კონფლიქტებს. რაც შეეხება მომავალს, ვუსურვებ, იპოვონ ისეთი საქმიანობა თუ სპორტი, რომელიც ნამდვილად ეყვარებათ.

ცოდნის გამოძახილი

არსებობს ქეშმარიტება, რომელიც ოქროს ძაფივით გასდევს ყველა დიდი სასწავლებლის კედლებს: როდესაც მასწავლებელი შთაგონებულია, ინსპირირებულია მოსწავლეც, ხოლო როდესაც მოსწავლე ესწრაფვის ცოდნას, მთელი მსოფლიო არსებითად და სასიკეთოდ იცვლება.

სოკრატეს სიტყვებს თუ დავესესხებით, რომელიც მან პლატონის "იონში" წარმოთქვა: "მაგნიტი იზიდავს რკინის პატარა რგოლებს და არა მარტო იზიდავს, სხვა რგოლების მიზიდვის ძალასაც ანიჭებს მათ. სწორედ მაგნიტის ამ "გადტამდებსა" და ყოვლისგანმწონ ძალას შეიძლება შევადაროთ ღვთაებრივი ზეშთაგონება... ასე ვიღებთ ზეგარდმო შთაგონებულთა ჯაჭვს".

მართლაც, „ევროპულ სკოლაში" გვწამს, რომ ნამდვილი წარმატება შთაგონებით იწყება. ჩვენი დინამიური და გამოწვევებით სავსე გარემო აღვივებს პროფესიული ზრდის მუდმივ სურვილს, სადაც მოტივირებული მასწავლებლები უწყვეტად ვითარდებიან, იკვლევენ, სწავლობენ და სრულყოფისკენ ისწრაფიან. ეს კი აყალიბებს პოზიტიური ენერგიის მტკიცე ჯაჭვს: შთაგონებული მასწავლებელი აღვიძებს მოტივაციას მოსწავლეში, მოტივირებული მოსწავლე სიამაყეს ჰგვრის მშობელს და ასე იწყება ბედნიერების მთელი ციკლი, რაც ასაზრდოებს ჩვენს სკოლას.

ჩვენი სკოლის განვითარება ეფუძნება მასწავლებლებლებს, რომლებიც მუდმივად ეძებენ და სრულყოფენ ცოდნას, ხოლო ამ გზით სვლა არის მათი არა მხოლოდ ცხოვრების წესი, არამედ ქეშმარიტი პრივილეგია. ჩვენი პედაგოგების ცოდნისადმი ერთგულება არის ჩვენი წარმატების საწინდარი, და მათი მიღწევები — სკოლის სიამაყე. დღეს გიზიარებთ ორ ასეთ ისტორიას, რომელთა ასახვა წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური წარმატების, არამედ ხედვის, ინტელექტისა და პიროვნული განვითარების მაგალითს.

პროფესორი ეკატერინე კობახიძე, კლასიკური ცივილიზაციების გამორჩეული სპეციალისტი გაემგზავრა ბოლონიის უნივერსიტეტში — Alma Mater Studiorum-ში, რომელიც დასავლურ სამყაროში ცოდნის უძველეს აკადემიურ კერად ითვლება. იქ, საუკუნეების სიბრძნით გაჟღენთილ კედლებში, მან იტალიელ სტუდენტებს გაუზიარა საკუთარი ცოდნა ბერძნული და ლათინური წარწერების შესახებ იმ უძველეს ეპიგრაფიკული მასალაზე დაყრდნობით, სადაც ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ ფასდაუდებელი ცნობებია დაცული. ლექციების გარდა, იტალიის კლასიკური კულტურის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტ რენცო ტოზისთან ჩვენი მასწავლებლის შეხვედრისას საფუძველი ჩაეყარა მომავალ კულტურულ თანამშრომლობას, რომელიც, შესაძლოა, მომავალი თაობებისთვის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გადაიქცეს სწავლებისა და მეგობრობის ხიდად საზღვრებს მიღმა.

მასწავლებლის წარმატების ისტორია

ცოდნის ნათელი მხოლოდ ერთში არ გიზგიზებს. ავსტრიის საგანმანათლებლო სივრცეში — ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში ჩვენი კიდევ ერთი მასწავლებელი ქმნიდა აკადემიურ ისტორიას. ილია ცეცხლაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მთელ სულსა და გულს უთმობდა უძველესი ბერძნული და ქართული ფილოსოფიური და თეოლოგიური ხელნაწერების შესწავლას.
მისმა ღრმა და სიზუსტით გამორჩეულმა კვლევამ უკვე მოიპოვა აღიარება აკადემიურ სივრცეში. ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც გამოაქვეყნა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ეხება ათანასე ალექსანდრიელის ქადაგების ქართულ თარგმანს — „აღწერისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და იოსებისთჳს".— ეს გამოკვლევა სამეცნიერო სიღრმითა და სტრუქტურული სილამაზით არის გამორჩეული. მეორე სტატიაში, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა - „თანაზიარების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის (μετουσία, μετέχειν) შედარებითი ანალიზი პლატონის, პლოტინისა და გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიის მიხედვით", ავტორი აანალიზებს პლატონის, პლოტინოსისა და გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიურ შეხედულებებს — ეს არის ინტელექტუალური ხიდი იდეებს შორის, რომლებიც საუკუნეებს, ტრადიციასა და რწმენას მოიცავენ. სწორედ ამ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, ილია ახალ ინიციატივებს აღვიძებს მოსწავლეებში, სხვადასხვა აქტივობით კი ახალგაზრდა თაობას მუდმივად ახსენებს, რომ სწორედ კალიგრაფიამ და ხელნაწერმა წიგნებმა მოიტანეს დღევანდელობამდე ცოდნა და კულტურა.

„ევროპულ სკოლაში" ჩვენ უკან არ მივდევთ წარმატებას, ჩვენ ვქმნით და ვასაზრდოვებთ მას მოთმინებით, სიყვარულითა და სიამაყით, რადგანაც ვიცით, მასწავლებლის სიხარული ხდება მოსწავლის სიხარული, მოსწავლის სიხარული — მშობლის სიხარული, და ასე იკვრება წრე კვლავ და კვლავ იმ ჰარმონიულ სიმფონიაში, რომელსაც სკოლა ქმნის, როცა გაბედულად სწამს დიადი მიზნების.

ჩვენი კურსდამთავრებულები მომავლის შენების გზაზე

სკოლის დამთვრებასთან ერთად ჩვენი კურსდამთვრებულებისთვის იშლება თვითრეალიზების ფართო ასპარეზი. შეძენილი ცოდნით, ღირებულებებითა და ახლის შეცნობის სურვილით აღჭურვილნი, ისინი სამყაროში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას იწყებენ. სიამაყით გიზიარებთ „ევროპული სკოლის" სამი კურსდამთავრებულის: კატო ბაქრაძის, ანა წულაიასა და ირაკლი ბეჟუაშვილის შეუპოვრობის, მიზნისკენ სწრაფვისა და გამორჩეული წარმატების გზას.

კატო ბაქრაძე
კატო ბაქრაძემ წარჩინებით დაამთავრა იელის უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის განხრით და ოთხი წელი იმუშავა ბოსტონის მსხვილ საინვესტიციო კომპანიაში (Artisan Partners), სადაც განვითარებად ბაზრებზე სახელმწიფო საფინანსო ფონდების ინვესტირების შესაძლებლობებს იკვლევდა. პოლიტიკოსებთან, სახელმწიფო უწყებებთან და მსოფლიო ლიდერებთან (მათ შორის პრემიერ-მინისტრთან) ურთიერთობისას თუ მრავალ ქვეყანაში (ტაჯიკეთი, ალბანეთი, სერბეთი, რუმინეთი, პოლონეთი, მონტენეგრო) საქმიანი ვიზიტების დროს კატო ჩვეული ენერგიით, საკითხის ღრმა

და დეტალური ცოდნით ახორციელებდა ნებისმიერ პროექტს. შემოდგომიდან ის სწავლას გააგრძელებს ოქსფორდის უნივერსიტეტის Saïd Business School-ში, სადაც მიიღებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA)

ანა წულაია

ანა წულაიამ მოიპოვა ბიოლოგიის ბაკალავრის ხარისხი და უმაღლესი წარჩინების დიპლომი (Summa Cum Laude) Emory College of Arts and Sciences-ში. იგი რვა სემესტრიდან ხუთჯერ მოხვდა ემორის კოლეჯის გამორჩეულ სტუდენტთა სიაში (Dean's List), MCAT-ის გამოცდის შედეგით კი - ამერიკის მასშტაბით ყველაზე მაღალი შედეგების მქონე სტუდენტთა 5%-ში. პარალელურად ანა აქტიურად იყო ჩართული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ინიციატივებში.

ანა წულაიმ Goizueta Business School-ში (Emory) წარმატებით დაასრულა მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, სადაც სამედიცინო განათლება და კლინიკის კედლებში მიღებული გამოცდილება გაიმდიდრა ბიზნესისა და მართვის ცოდნით.

წელს, აგვისტოში ანა წულაია იწყებს განათლების ახალ ეტაპს Harvard Medical School-ში, სადაც შეეძლება მიღებული ცოდნა გარდაქმნას მოქმედებად!

ირაკლი ბეჟუაშვილი

ირაკლი ბეჟუაშვილი, კოლუმბიის უნივერსიტეტში პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ეკონომიკაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, სწავლას გააგრძელებს ოქსფორდის უნივერსიტეტის Blavatnik School of Government-ში საჯარო პოლიტიკის მაგისტრატურაზე (MPP). კოლუმბიის უნივერსიტეტში ირაკლი მოხვდა 15 სტუდენტს შორის, ვინც პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეზისის დაწერისთვის შეარჩიეს, იყო სტუდენტური ორგანიზაციების ლიდერი, CMUN-NY-ის გენერალური დირექტორი, Columbia European Society-ის პრეზიდენტი, არნოლდ ა.ზალცმანის ომისა და მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის სტიპენდიანტი და Pi Sigma Alpha-ს – პოლიტიკური მეცნიერების ნაციონალური საპატიო საზოგადოების წევრი.

ირაკლი მუშაობდა გაეროში საქართველოს მუდმივმოქმედი მისიის მრჩევლად, European Horizons -ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ. იგი არის Action for Community Transformation (ACT) Georgia-ს დამფუძნებელი. ირაკლი ბეჟუაშვილის შთამბეჭდავი კარიერა ასევე მოიცავს ევროპარლამენტის პოლიტიკებზე მუშაობას, ენერგეტიკულ კვლევებს Çalık Holding-ში და საგარეო პოლიტიკის ანალიზს The Jamestown Foundation-ში.

კატო, ანა და ირაკლი ღირსეულად ითავისებენ „ევროპული სკოლის" ღირებულებებს: აკადემიური წარმატებისკენ სწრაფვა, გლობალური მოქალაქეობა და პასუხისმგებლიანი ლიდერობა. მათი წარმატების ისტორიები შთამაგონებელია მომავალი თაობებისთვის და არის ნათელი დასტური იმისა, თუ რა დიდი ძალა აქვთ „ევროპული სკოლის" კურსდამთავრებულებს საქართველოს მომავლის და უკეთესი მსოფლიოს შენების გზაზე.